

ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ოქტომბერი



Kingdom of the Netherlands

პუბლიკაცია მომზადებულია პროექტის „ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

ავტორი:

ცირა ჭანტურია*

„ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სახელით

რეცენზენტი:

კორნელი კაკაჩია

თარგმანი:

ანა გეგეჭკორი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ლია საზოგადოება საქართველო

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველო“ შიდა პროექტის ფარგლებში „ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების ავტორის მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მას ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველო“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“ მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

შესაძლებელია კი ეფექტიანი გამოძიება სათანადო მტკიცებულებების გარეშე?

პოლიტიკის დოკუმენტი

წინასიტყვაობა

სასტიკ მოპყრობასა და წამებასთან ბრძოლის კუთხით ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგით (პოლიტიკური დიალოგისა და რეფორმის ნაწილი) გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულებაა სასჯელალსრულების სისტემაში, პოლიციაში, სამხედრო თუ სხვა დახურულ დაწესებულებებში წამებასთან და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით ნაყენებული ბრალდებების სიღრმისეული, გამჭვირვალე და დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფა.

თუმცა წამებისა და არადაამიანური მოპყრობის თაობაზე საჩივრების გამოძიების ეფექტიანობას ხელს უშლის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის ნაკლოვანი პრაქტიკა. კერძოდ, სამედიცინო და სხვა სახის მტკიცებულებების მოპოვების პრაქტიკა არ აკმაყოფილებს სტანდარტებს და ვერ ახერხებს, უზრუნველყოს მონაცემები, რომლებიც მოგვიანებით გამოძიებამ შეიძლება გამოიყენოს.

საქართველოს სახალხო დამცველმა და წამების პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა, ასევე საერთაშორისო და ევროპელმა მომხსენებლებმა თუ ექსპერტებმა არაერთხელ აღნიშნეს ამ პრობლემის შესახებ თავიანთ ანგარიშებში, თუმცა ჯერჯერობით არ შეიმჩნევა სათანადო რეაგირება პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან.

ნორმატიული ბაზა/რეგულაციები და პრაქტიკა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან. პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის მიერ შესავსები დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმები/რეესტრები ოფიციალ-

* ცირა ჭანტურია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ (PRI) სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის დირექტორია. იგი ფლობს სამართლის ხარისხს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტიდან და ამჟამად სწავლობს საჯარო პოლიტიკის სფეროსა და მენეჯმენტს იორკის უნივერსიტეტში (გაერთიანებული სამეფო).

ურად უნდა დამტკიცდეს გაერო-ს სტამბოლის პროტოკოლის და წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტების შესაბამისად, რათა მოხდეს პრაქტიკის ამ მიმართულებით განვითარება.

ამასთანავე, უნდა შეიცვალოს ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებათა ჩანაწერების შენახვის პრაქტიკა, რათა დაცული იყოს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ვიდეო/ვიზუალური მტკიცებულებები.

შესავალი

წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფაქტების ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი წინაპირობაა პატიმართა დაზიანებების სათანადოდ დოკუმენტირება, ვინაიდან ეს უზრუნველყოფს მტკიცებულებებს საგამოძიებო სამსახურებისათვის. დოკუმენტირების შემდგომ უნდა მოხდეს ამ მონაცემების გადაცემა შესაბამისი სამართალდამცველი ორგანოებისათვის, მაგალითად, საქართველოში მთავარი პროკურატურისათვის.

სახალხო დამცველის ანგარიშებში¹ ყურადღება გამახვილებულია გამოძიებისათვის სამედიცინო მტკიცებულებების უზრუნველყოფის ნაკლოვან პრაქტიკაზე. წლების განმავლობაში პატიმართა დაზიანებების დოკუმენტირება სამედიცინო პერსონალის მიერ იმდენად პრობლემურია, რომ მთავარი პროკურატურის წარმომადგენლების განცხადებით, მათ უჭირთ არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრების ეფექტიანად და საბოლოოდ გამოძიება სათანადო მტკიცებულებების სიმწირის ან არარსებობის გამო.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ თავის ანგარიშში² გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, პატიმართა მიერ მიღებული დაზიანებების, მათ შორის როგორც თვითდაზიანების, ასევე სხვა პირთა მიერ მიყენებული თუ ყოველდღიური ტრავმების, რაოდენობა განსაკუთრებით მაღალია ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებაში, მაგალითად, გლდანის №8, ქუთაისის №2, რუსთავის №6, ქსნის №15 და რუსთავის №17 დაწესებულებებში. თუმცა ამ დაზიანებების ზუსტი წარმომავლობა ყოველთვის არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული.

სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშებში აღნიშნული კიდევ ერთი პრობლემაა, რომ მტკიცებულებების მეორე წყარო – ელექტრონული მეთვალყურეობის ვიდეოკამერების ჩანაწერები – მხოლოდ 24 საათამდე ვადით ინახება პენიტენციურ დაწესებულებაში. ეს ჩანაწერები ფასეული მტკიცებულება იქნებოდა გამოძიებისთვის, რომ ხდებოდა მათი უფრო ხანგრძლივი და გონივრული ვადით შენახვა.

¹ სახალხო დამცველის წლიური ანგარიშები „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში“, 2014 და 2015 წლების, ასევე წინა წლების ანგარიშები.

² საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, თბილისი, 2015 წ., გვ. 25. შეგიძლიათ იხილოთ ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3777.pdf> (ბოლო ნახვა 2016 წლის 10 ოქტომბერს).

როგორია საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები

სტამბოლის პროტოკოლი³ წარმოადგენს საერთაშორისო სახელმძღვანელოს და მასში მოცემულია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები. იგი ადგენს მინიმალურ სტანდარტებს იმ პირთა სამედიცინო შემონმებისათვის, რომლებიც აცხადებენ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ, ასევე სავარაუდო წამების შემთხვევათა გამოძიებისთვის და შემონმების შედეგების სასამართლო ან სხვა საგამოძიებო ორგანოებისთვის გადაცემისათვის.

პროტოკოლის მიხედვით, არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის შემონმება უნდა მოიცავდეს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ გასინჯვას და შეფასებას.

შემონმების შედეგად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ ექვს კითხვას⁴:

ა) შეესაბამება თუ არა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ დადგენილი მონაცემები შეტყობინებას წამების შესახებ გამოცემების შესახებ?

ბ) გამოსაკვლევი პირის ფიზიკური მდგომარეობის რომელი ნიშნები ახდენს გავლენას საერთო კლინიკურ სურათზე?

გ) არის თუ არა ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული მონაცემები მოსალოდნელი ანუ ასახავს თუ არა ტიპურ რეაქციებს უკიდურეს სტრესზე, რომლებიც აღინიშნება იმ კულტურულ და სოციალურ გარემოში, რომელსაც მიეკუთვნება გამოსაკვლევი პირი?

დ) ფსიქოლოგიური ტრავმების შედეგად წარმოქმნილი ფსიქიკური აშლილობების დროთა განმავლობაში ცვალებადი ხასიათის გათვალისწინებით, როგორია ასეთ აშლილობათა დროითი ჩარჩოები წამების შემთხვევებთან მიმართებაში? გამოჯანმრთელების რა სტადიაზეა გამოსაკვლევი პირი?

ე) სტრესის გამომწვევი კიდევ რა ფაქტორები მოქმედებს გამოსაკვლევი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (მაგალითად, მიმდინარე სამართლებრივი დევნა, იძულებითი მიგრაცია, ქვეყნიდან გასახლება, ოჯახის და სოციალური როლის დაკარგვა და ა.შ.)? რა ზეგავლენას ახდენს ეს საკითხები მსხვერპლზე?

ვ) ხომ არ მონიშნავს გამოსაკვლევი პირის მდგომარეობის კლინიკური სურათი იმაზე, რომ მის მიმართ წამების გამოცემების შესახებ განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს?

პროტოკოლი ასევე იძლევა რეკომენდაციას, არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის შემთხვევაში გადაღებული იქნეს დაზიანებების ფერადი ფოტოები.

³ სტამბოლის ოქმი: წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ქმედითი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო/გაერო, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2004, შეგიძლიათ იხილოთ ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.ohchr.org/Documents/Publications/training8Rev1en.pdf> (ბოლო ნახვა 2016 წლის 5 ოქტომბერს).

⁴ იქვე, პუნქტი 105, გვ. 22

თავის 23-ე ზოგად მოხსენებაში წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა საგანგებოდ აღნიშნა სამედიცინო მტკიცებულებათა ზუსტი და დროული დოკუმენტირების და შესაბამისი ორგანოებისთვის გადაცემის მნიშვნელობა გამოძიების ეფექტიანობისა და დამნაშავე პირთა დასჯის მიზნებისათვის, რაც უნდა გახდეს „ძლიერი პრევენციული ფაქტორი მომავალში არასათანადო მოპყრობის ქმედებების ჩადენისთვის“.⁵

- „პატიმრების სისტემატური სათანადო სამედიცინო შემონმება ექიმების მიერ, რაც უნდა დაიწყოს ციხეში მათი მიღებიდან რაც შეიძლება მალე, და მიღებული შედეგების აღრიცხვა“;

- ი) პირის განცხადებები, რომლებიც რელევანტურია სამედიცინო შემონმებისთვის (მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის მისეული აღწერა და განცხადება არასათანადო მოპყრობის შესახებ); იი) სრულყოფილი შემონმების საფუძველზე მიღებული ობიექტური სამედიცინო მონაცემების სრულად დაფიქსირება და იიი) სამედიცინო პერსონალის დაკვირვებები ი) და იი) ქვეპუნქტების გათვალისწინებით, არასათანადო მოპყრობის თაობაზე გაკეთებულ განცხადებებსა და ობიექტურ სამედიცინო მონაცემებს შორის შესაბამისობის შესახებ.

- ჩანაწერი ასევე უნდა მოიცავდეს დამატებით ჩატარებული გამოკვლევების შედეგებს, სპეციალისტების კონსულტაციების დეტალურ დასკვნებს და დაზიანებებთან დაკავშირებული მკურნალობის და ნებისმიერი სხვა დამატებითი პროცედურების აღწერას.

- ტრავმული დაზიანებების შემთხვევაში სამედიცინო შემონმების შედეგების დაფიქსირება უნდა წარმოებდეს ამ მიზნით შექმნილ სპეციალურ ფორმაში, რომელშიც მოცემულია ადამიანის სხეულის ანატომიური გამოსახულება ტრავმული დაზიანებების მოსანიშნად და რომელიც შეინახება პატიმრის სამედიცინო დოკუმენტაციაში.

- გარდა ამისა, სასურველი იქნება, რომ მოხდეს დაზიანებების ფერადი ფოტოების გადაღება და ფოტოები მოთავსდეს პირის სამედიცინო დოკუმენტაციაში. გარდა ამისა, უნდა იწარმოებოდეს სპეციალური ყურნალი ტრავმების აღრიცხვისთვის, სადაც აღწერილი იქნება ყველა სახის დაზიანება“.⁶

მოკოვეული მონაცემა

სამედიცინო მტკიცებულებების შებოვევა

სახალხო დამცველის ანგარიშის⁷ მიხედვით, პატიმართა დაზიანებების აღრიცხვა პრობლემურია და არ ხდება სათანადოდ, ვინაიდან ხელს არ უწყობს მტკიცებულებების ეფექტიან იდენტიფიცირებას არასათანადო მოპყრობის საჩივრების გამოძიების მიზნებისათვის. პრობლემის გამოვლინებებია: „ხშირ შემთხვევაში მითითებული არ არის დაზიანებების წარმომავლობა. ასევე გვხვდება გაურკვეველი წარმომავლობის, საეჭვო ხასიათის და ლოკალიზაციის ტრავმები. არის შემთხვევები, როდესაც პატიმარი არ განმარ-

⁵ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, გვ. 35, CPT/Inf (2013) 29, სტრასბურგი, 2013 წლის 6 ნოემბერი, შეგიძლიათ იხილოთ ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-23.pdf> (ბოლო ნახვა 2016 წლის 10 სექტემბერს).

⁶ იქვე, პუნქტი 74, გვ. 36

⁷ საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში“, თბილისი, 2015 წ., გვ. 31, შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf> (ბოლო ნახვა 2016 წლის 8 სექტემბერს)

ტავს დაზიანების წარმომავლობას ან აცხადებს, რომ ტრავმა საყოფაცხოვრებო ხასიათისაა, მაგალითად, მიღებულია საწოლიდან გადმოვარდნის შედეგად, თუმცა მისი ადგილი და ხასიათი ბადებს ეჭვს, რომ დაზიანება მიყენებულია სხვა პირის მიერ“. თუნდაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში ციხის ექიმმა სრულყოფილი დათვალეირება უნდა ჩაატაროს დაზიანების წარმომავლობის დასადგენად და გაარკვიოს, რამდენად შეიძლებოდა არსებული დაზიანების მიღება დასახელებული მიზეზით, იმისათვის, რომ გამოირიცხოს ეჭვი დაზიანების შესაძლო ძალადობრივ წარმომავლობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დათვალეირების დასრულების შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს დასკვნები იმის თაობაზე, შეიძლებოდა თუ არა, რომ ამგვარი დაზიანებები, მათი ხასიათიდან და ადგილიდან გამომდინარე, არასათანადო მოპყრობას გამოეწვია.

სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან, მათ შორის დაზიანებების ყურნალთან, დაკავშირებით წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა ასევე გამოავლინა სამედიცინო კონფიდენციალურობის პრობლემაც. ამასთან დაკავშირებით წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა გაიმეორა მის მიერ „დიდი ხნის წინ გაცემული რეკომენდაცია, რომ ყველა სახის სამედიცინო შემონმება (განსაკუთრებით კი სამედიცინო სკრინინგი პაციმრის დაწესებულებაში მიღებისას და ასევე დაზიანებების აღრიცხვისას) უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პერსონალის სმენისა და თვალთახედვის არიდან მოშორებით, გარდა იმ კონკრეტული შემთხვევებისა, როდესაც ექიმი ამას თავად ითხოვს“.⁸

ამასთანავე, წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა მიუთითა იმ პრობლემაზე, რომ არ ხდება სასამართლო სამედიცინო და სხვა მტკიცებულებების (ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერების) დროულად დაფიქსირება; „დაზიანებების აღრიცხვის და მათ შესახებ საგამომიებო ორგანოებში ინფორმაციის გადაგზავნის პრაქტიკა ვერ აკმაყოფილებს სასურველ სტანდარტებს“.⁹

2015 წელს საქართველოში ვიზიტისას გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე ბ-ნმა მენდესმა აღნიშნა, რომ არსებობს „დაზიანებების დაფიქსირებისა და სამედიცინო აღრიცხვის და რეაგირების პრაქტიკის გაუმჯობესების საჭიროება ხარისხისა და თანმიმდევრულობის თვალსაზრისით“.¹⁰ მის მიერ გამოვლენილი კონკრეტული ხარვეზები ეხებოდა იმას, რომ „ანგარიშები ზოგადად არ იყო სრულად წარმოებული, აკლდა დაზიანებების ზუსტი და სრული აღწერილობები ან არ ხდებოდა მათი ფოტოების მეშვეობით დოკუმენტირება, ასევე არ ხდებოდა მათი შესაძლო წარმომავლობის ინტერპრეტაცია“.¹¹

სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაცია იყო, რომ განხორციელდეს ზომები იმისათვის, რომ დამკვიდრდეს სამედიცინო პერსონალის მიერ ტრავმული დაზიანებების ფოტოების მეშვეობით დაფიქსირების პრაქტიკა და ასევე გაუმჯობესდეს დაზიანებების აღრიცხვის არსებული ფორმა სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად.

ევროსაბჭოს ოფისმა საქართველოში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, 2014 წელს დახმარება გაუწია სას-

⁸ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის ანგარიში საქართველოში 2014 წლის ვიზიტთან დაკავშირებით, CPT/Inf (2015) 42, სტრასბურგი, 15 დეკემბერი, 2015, შეგიძლიათ იხილოთ ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42-inf-eng.pdf> (ბოლო ნახვა 2016 წლის 10 ოქტომბერს).

⁹ იქვე, პუნქტი 18, გვ. 20.

¹⁰ წამების საკითხებზე გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, 2015 წლის 1 დეკემბერი, A/HRC, 31/57/Add. 3, პუნქტი 91, გვ. 15, შეგიძლიათ იხილოთ ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/273/24/PDF/G1527324.pdf?OpenElement>

¹¹ იქვე, პუნქტი 92, გვ. 15

ჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაზიანებათა აღრიცხვის ფორმების წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის სტანდარტებისა და სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად შემუშავებაში მრავალპროფილური გუნდისა და ექსპერტთა მონაწილეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად პატიმართა დაზიანებების აღრიცხვის წესი და ფორმა სულ ახლახან დაამტკიცა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა.¹² გარდა ამისა, ჩატარდა ციხეების ექიმთა ტრენინგი დაზიანებების აღრიცხვის საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად წარმოებაში, რითაც მოხდა მათი უნარებისა და კომპეტენციის განვითარება. ევროკავშირის/ევროსაბჭოს პროგრამის „ადამიანის უფლებათა დაცვა ციხეებსა და სხვა დახურულ ინსტიტუციებში“¹³ ფარგლებში 2014-2015 წლებში ციხეების დაახლოებით 100 თანამშრომელს, მათ შორის დირექტორებს, მთავარ ექიმებს, ექიმებსა და ექთნებს, ჩაუტარდა ტრენინგი წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის და სტამბოლის პროტოკოლის სტანდარტებზე და ევროსასამართლოს საქმეებზე.

სხვა მტკიცებულების შეგროვება/დაფიქსირება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №35 ბრძანებით¹⁴ (მუხლი 15.2) დადგენილი წესი ითვალისწინებს პენიტენციური დაწესებულებების ვიდეომეთვალყურეობის სისტემების ჩანაწერების მინიმუმ 24 საათით შენახვას. სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით¹⁵, მიუხედავად უამრავი რეკომენდაციისა, მოხდეს აღნიშნული ჩანაწერების უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვა, ისინი მხოლოდ 24 საათამდე ვადით ინახება და შემდეგ იშლება. ეს კი შეუძლებელს ხდის, რომ საგამოძიებო ორგანოებმა მიიღონ შესაბამისი მონაცემები მტკიცებულებების სახით, ვინაიდან ვიდრე საჩივრები მთავარ პროკურატურაში გაიგზავნება, ჩანაწერები იშლება. ეს კი სერიოზულად აფერხებს არასათანადო მოპყრობისა და წამების საჩივრებზე გამოძიების ეფექტიანად წარმართვას.

დასკვნები

მიუხედავად სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის და ასევე საერთაშორისო თუ ევროპული მექანიზმების მიერ განეული რეკომენდაციებისა, რომლებიც ეხება ციხეებში სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისა და სამედიცინო მტკიცებულებების შეგროვების პრაქტიკის გაუმჯობესების საჭიროებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საჩივრებთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკა არ აკმაყოფილებს სტამბოლის პროტოკოლის მოთხოვნებს და წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის სტანდარტებს.

ამასთანავე, მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა სხვა სახის მტკიცებულებების (პენიტენციური დაწესებულებების ვიდეოკამერების

¹² ამ დროს პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი ვერსია უკვე მომზადებული იყო

¹³ ევროსაბჭოს ოფისი საქართველოში, „ადამიანის უფლებები ციხეებსა და სხვა დახურულ ინსტიტუციებში“, შეგიძლიათ იხილოთ ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.coe.int/en/web/tbilisi/human-rights>, ბოლო ნახვა 2016 წლის 5 ოქტომბერს.

¹⁴ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №35 (19 მაისი, 2015 წ.) ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, ნაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე, შეგიძლიათ იხილოთ ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2823755> (ბოლო ნახვა 2016 წლის 10 ოქტომბერს).

¹⁵ საქართველოს სახალხო დამცველი, წლიური ანგარიში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში, თბილისი 2015 წ., გვ. 8, შეგიძლიათ იხილოთ ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf> (ბოლო ნახვა 2016 წლის 10 ოქტომბერს).

ჩანანერები) უფრო ხანგრძლივი და გონივრული ვადით შენახვასთან დაკავშირებით, ისინი მხოლოდ 24 საათამდე ვადით ინახება.

ამგვარი ხარვეზიანი პრაქტიკა ხელს უშლის წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე წარმოებული გამოძიების ეფექტიანობას, ართულებს რა მნიშვნელოვანი ობიექტური მტკიცებულებების მოპოვებას. ეს კი სერიოზულად აისახება ევროკავშირი-საქართველოს ასოციირების დღის წესრიგით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულებაზე, კერძოდ, წამებისა და არასათანადო მოპყრობის დანაშაულებზე სიღრმისეული და ეფექტიანი გამოძიების წარმოებაზე.

რეკომენდაციები

- ამოქმედდეს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ ოფიციალურად დამტკიცებული დაზიანებების აღრიცხვის წესები და ფორმები, რომლებიც საშუალებას მისცემს სამედიცინო პერსონალს, უფრო ზუსტად და დეტალურად აღწეროს პატიმართა დაზიანებები, სტამბოლის ოქმის მოთხოვნებისა და მითითებების შესაბამისად;
- გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამედიცინო დოკუმენტაციის და ექიმთა მიერ პატიმრების სამედიცინო შემოწმების კონფიდენციალურობას;
- დაინერგოს პენიტენციური დაწესებულებების ელექტრონული მეთვალყურეობის კამერების ჩანანერების გონივრული ვადით შენახვის პრაქტიკა (მინიმუმ ერთ თვემდე ვადით) საჭიროებისამებრ მტკიცებულებების სახით გამოსაყენებლად.

